№ 64
ხუთშაბათი, 3 აპრილი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

ჟაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## „ივერია"
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверiя".

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ბ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.
ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ: თენგინის მე-77 რაზმის პოდპრაპორშჩიკებს კარსელაძეს და ასათიანს—პოდპორუჩიკობა და ამასთან გადაყვანილ იქმნენ თურქესტანის მე-20 ბატალიონში.

კუბის მე-155 რაზმის პოდპრაპორშჩიკს ჯიჯიხიას—პოდპორუჩიკობა და ამასთან გადაყვანილ იქმნა თურქესტანის მე-16 ბატალიონში.

განწესებულ იქმნენ: აზნაური რაჟდენ სოლომონის ძე ნაცვლიშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, ტფილისის პოლიცმეისტრის სამართველოს სამსახურში, პირველ საკანცელარიო ხარისხის მოხელედ, შთამომავლობისამებრ; აზნაური გიორგი კობიაშვილი—დუშეთის მაზრის პოლიციის სამართველოში პირველ ხარისხის საკანცელარიო მოხელედ შთამომავლობისამებრ.

დანიშნულ იქმნა: ახალციხის მაზრის პოლიციის მართველობის საკანცელარიო მოხელე გიორგი ზაალიშვილი—ამავე სამართველოს მოურნედ.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი მცხეთიდგან უკან დაბრუნდა ტფილისს.

*** ქალაქის ბეითალმა ნ. ა. კანცელმახერმა იარმუკაში აღმოაჩინა ჩუმად ბატკნების დაკვლა ივანე დიღმელოვის საყასბოში. ივანე დიღმელოვს და ივანე კუშჩიევს, რომელიც ჰყიდდა ჩუმად დაკლულს და გაბერილს ბატკნებს, ოქმი შეუყენეს.

*** სასანიტარო და საექიმო საბჭო შაბათის სხდომაზედ განიხილავს შავის ჭირის შესახებ ლექციების წაკითხვის პროგრამმას, რომელიც დასამტკიცებლად ქალაქის გამგეობას უნდა წარუდგინონ.

*** ქალაქის სადეზინფექციო კამერა უკვე მზად არის და იმის კურთხევას ნაალდგომევს აპირობენ.

*** მის უმაღლესობა ბუხარის ემირი მირ-სეიდ-მირ-აბდულ-ახად-ხანი ბუხარადგან, როგორც დეპეშით იუწყებიან, მაისის ნახევარში წამოვა ჩრდილოეთ კავკასიის წყლებზედ, სადაც გაატარებს ზაფხულს. უკან დაბრუნებისას ყირიმში წავა და იქიდგან ტფილისზე გამოივლის. აქ მისი უმაღლესობა ერთი კვირა დარჩება.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ."-ს სიტყვით, ბაქოს ნავთის მწარმოებელს ბ-ნ ტაგიევს თავის ქონება—ნავთის წყაროები, ქარხანა, აუზები, გემები და სხ. ინგლისელ მდიდარ ჯონ სტიუარტს 5,000,000 მანეთად უნდა მიჰყიდოს. ამ უკანასკნელს ბ-ნ ტაგიევისათვის 5000,000 მან. მიუცია ბეთ იმ პირობით, რომ თუ ტაგიევმა სიტყვა გადათქვა, ჯონ სტიუარტს 1.500,000 მან. უნდა მისცეს ჯარიმად. გამსყიდველსა და მყიდველს შორის შუა-კაცობა შუმახერსა და ორს კერძო დალალს გაუწევიათ.

ბ-ნ ტაგიევის მიბაძვას სხვა რამოდენიმე მდიდარი აპირებს თურმე.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ექიმმა სტეფანოვმა და მასთან ერთად სხვებმა სოლოლაკში ბ-ნ ივანოვის შაქარლამე გასინჯეს. შენობა, რომელშიაც ხსენებული საშაქარლამეა მოთავსებული, საკმაოდ სუფთად უცვნიათ, ხოლო რამდენიმე ნამცხვარი საეჭვოდ. ამისათვის საეჭვო ნამცხვრები, მისი საღებავი წამლები და სხ. ქიმიურად გამოსარკვევად წაუღიათ, მაგრამ გამორკვევის შედეგი ჯერ არ იციან.

*** ამ ბოლო დროს ქალაქში ძლიერ გამრავლებულან ვირ-თაგვები. მთელი გუნდი ვეებერთელა ვირთაგვებისა დასეირნობს თურმე კუკიაში და, რაზედაც-კი კბილი მიუწვდებათ ყველაფერს ანადგურებენ.

*** ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოს 1875 წ. 1 ოქტომბრიდგან 1876 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებულთა სია შეუდგენია, რომლებიც წელს კენჭის ამოსაღებად იქნებიან მიწვეულნი. ეს სია მთელის სამის კვირის განმავლობაში ქალაქის შენობის ალაყაფის კარებებზე (ველიამინოვის ქუჩის მხრივ) იქნება გამოკიდული. მსურველს შეუძლიან გასინჯოს იგი და თუ რამ შეცდომა ნახა, ზემოხსენებულს სა- ... მუნ-კრებულოს აცნობოს შესაფერ ცვლილებათა მოსახდენად.

*** ქუთაისი. 26 მარტს, საღამოს $6^1/_2$ საათზედ უეცრად გაისმა ქალაქში ხმა „ქალი მოკლეს, ქალიო!" ბულვარისაკენ მიდიოდა თურმე მღვდლის მიხეილ ფლიგინსკის დისწული, ერთი პატარა ამხანაგის ქალით. ქალმა ოლქის სამმართველოს რომ მიატანა დაეწია უკანიდგან კავკავის ვაჭრის შვილი ნიკიტინი, ჩვიდმეტის წლისა, ამოიღო რევოლვერი და ესროლა ქალსა, მაგრამ ააცდინა. რევოლვერის ხმაზედ ქალმა უკან მოიხედა, ამ დროს ნიკიტინმა მეორედ დაახალა რევოლვერი, საბრალო ქალს ტყვია გულში მოხვდა, იქვე დაეცა და რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა. ნიკიტინი ჩაჯდა ეტლში და პოლიციაში გასწია. შევიდა, რევოლვერი სტოლზედ დადო და გამოუცხადა: „მე მოვკალი ესა და ეს ქალიო". რად მოკალიო რომ ჰკითხეს, უპასუხა: „სიყვარულის გამოო". მკვლელი დაატუსაღეს და გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. ჯვარცმა (ოზურგ. მაზრა). ჩვენს სოფელს ერთი მადლიანი კაცი ჰყავს, სახელდობრ გ. ო. ქლენტი, რომელიც სულ მუდამ იმის ზრუნვაშია, როგორ და რითი დავეხმაროთ სოფელსაო. ჯერ იყო და ისე კარკად წაიყვანა სამინისტრო სასწავლებლის საქმე, რომლის მზრუნველადაც ითვლებოდა, რომ ხარჯს სულ მუდამ ცოტაოდენს ანარჩუნებდა და შარშან-კი მეორე კლასიც მოუმატა ჩვენს სასწავლებელს, რომლისათვისაც 1200 მ. დასჭირდა. გაგვიკეთა აგრეთვე გზები და ქვით მოგვიკენჭა. ეხლა კიდევ აპირობს საკუთარის

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

თუ ექიმი არ მიგაჩნის
და არცა გწამს მისი მცნება,
მაშ გიყვარდეს ჯან-მრთელობის
სწავლა-სიბრძნე-ხელოვნება;
თავის მოვლის მიმდევარი
საექიმოდ არ გახდება,
როგორც სპირტი სამ-ნახადი
არასოდეს არ წახდება.

დ. მაჩხანელი

### ეფროს დღიურიდგან *)

187... 31 დეკემბერი.

(ვუძღვნი ბ-ნ არაგვისპირელს)

განთიადია და თვალი არ მომიხუჭავს, ლამის თავი გამისკდეს ბევრი ტირილისაგან. ოხ, ღმერთო! რა მოხდა წუხელის, რა წამები გამოვიარე, რა უბედურების მოწმე ვიყავ! და ხელი-კი არ გავანძრიე საშველად, ნუგეშის საცემლად! სად იყო ჩემი ჩვეულებრივი სიბრალული, გულმტკივნეულობა... საწყალი გიორგი! რა რიგ იტანჯებოდა, რა სასოწარკვეთილება გამოიხატა იმის სახეზედ, რა რიგად მოეღრიცა პირი-სახე, გულზე ისე წაივლო ხელი, თითქო ხანჯალი ჩასცეს და სისხლის შეყენება უნდა იარიდგანაო, როდესაც გაკვირვებით ვუთხარი: „შენ გიყვარვარ, საცოლედ მიგულებდი? როგორ, განა მე შენი და არა ვარ?! განა ჩვენი მეგობრობა წმიდა, ნათესაური, უზაკველი კავშირი არ იყო-მეთქი."

— კმარა, კმარაო... გამაწყვეტინა და დაძაბუნებული ხეს მიეყუდა. ღმერთო ჩემო, ეს როგორ მოხდა, თვალები სადა მქონდა, მოსაზრება სად დავკარგე, რომ ამასთან ძლიერი უსაზღვრო გრძნობა ვერ შევნიშნე; ვერ დავინახე ის, რაც ეხლა ეს მაღელვებს და ჩემს სინიდისს ცოტა არ იყოს სასაყვედუროდ უხდება.

სამი თვე ქალაქში არ ვიყავ და ამ სამის თვის განმავლობაში ყოველ კვირა ვრცელი წერილები მომდიოდა იმისაგან და ყოველი წერილი სავსე იყო მხოლოდ იმის ჩვეულებრივი მოძღვრებით: ესა-და-ეს შესანიშნავი წიგნი გამოვიდა, ესა-და-ეს აზრი დაიბეჭდა ჟურნალ გაზეთებში იმ წიგნის შესახებაო; შენც წაიკითხე და შენი დასკვნა შემატყობინეო. „ამუშავე, ამუშავე, არც ერთს წამს არ შეაჩერო შენი წინ-სვლა, გონების განვითარება..." აი მისის წერილების დასაწყისიცა და დასასრულიც.

მარტო ამისი უკანასკნელი წერილი იყო არა ჩვეულებრივი. ამაში მთლად მუსიკასა და პოეზიას ჰქონდა ალაგი დათმობილი: „შენის წასვლის შემდეგ რამდენსამე ღამეს ძილი გამიტყდა, მწერდა გიორგი, და ეს უძილობა ჩემის სულის მღელვარების გამოხატვას მოვანდომე. ყოველ განთიადისას მზის ამოსვლას მივეგებებოდი ხოლმე მთაწმიდის მთაზედ ჩემის სკრიპკით და მის ბრწყინვალე ნათლის მოფენას ვუერთებდი იმ სიმფონიის ჰანგებს, რომლითაც მინდა უკვდავი ვყო სახელი ერთის ქალთა მზისა და მისგან გამოწვეული უკვდავების ცეცხლი, რომელმაც ძალა მისცა ჩემს თითებს იმ უმაღლესის ჰარმონიის გამოთქმისა. იმ სიმფონიას პირველად შენ გაიგონებ"... აქ დასმულ მრავალ წერტილებს მე მაშინ მნიშვნელობა არ მივეცი და ახლა-კი მესმის...

მხოლოდ გუშინ საღამოს გამაკვირვა იმისმა საქციელმა. შემოვიდა თუ არა ოთახში, მღელვარებისაგან წაბარბაცდა, თვალები თითქო ნამტირალევი ჰქონდა და ისეთის მწუხარების გამომეტყველებით მიყურებდა, რომ ჩემს გულში რაღაც აღშფოთება გამოიწვია. წამს დრო ჩავიგდე, შევეკითხე:

— გიორგი, ავად ხომ არა ხარ?

— არა... მე სრულიად კარგად ვგრძნობ ჩემს თავს, პირ იქით, ბედნიერადაც, თუ მღელვარებას მატყობ, ეს იმის მიზეზია, რომ ჩემი საცოლე მინდა გიჩვენო და მეშინიან არ დამიწუნო.

— საცოლე? მართლა, რა რიგ მიხარიან: ქართველია, რუსია? ქერაა, შავგვრემანი, ლამაზი? გულ-მოდგინედ დავეკითხე.

— დღეს გიმნაზიის ეკლესიაში იქნება ლოცვაზედ. ისიც შენსავით ღვთის მოსავია. წამო, იქ გაგაცნობ, იმასაც ძალიან უნდა შენი ნახვა.

საღამოს ექვსი საათი იყო; სადღესასწაულო ზარების რეკვა მოისმოდა ყოველის მხრიდგან; საჩქაროდ ჩავიცვი და ხელი-ხელში გაყრილი გიორგისთან გავწიე გიმნაზიის ეკკლესიისაკენ. აუარებელის ხალხით იყო გატენილი ეკკლესია. წმინდა სანთლის მკრთალმა შუქმა, ყმაწვილ მგალობელთა ჰარმონიით სავსე ხმამ, საკმლის სუნმა, მლოცავთა საერთო დუმილმა და სასოებამ გაიტაცა ჩემი სულიც და რაღაც სარწმუნოებრივმა აღტაცებამ შემიპყრა; მთელის ჩემის არსებით ზეცას შევუერთდი და ერთს წამს სულ დამავიწყდა ყოველივე ჩემს გარეშე.

— ეფრო, აქ საშინლადა ცხელა, ჰაერი მოწამლულია ხალხის სუნთქვით. გეყოფა ლოცვა, წავიდეთ.

ამ სიტყვებმა გამომარკვია და გამახსენა აქ მოსვლის მიზეზიც.

— მართლა, აბა რომელია შენი სატრფო, მიჩვენე, გამაცანი, ალერსიანად მივუბრუნდი გიორგის.

— ეკკლესიაში არა სჩანსო, ხმის კანკალით მომიგო იმან და ხელი მო-

*) ეს დღიურის ნაწყვეტი ჩემის აწ გარდაცვალებულის მეგობრის ქაღალდებში ვიპოვნე.

დანარჩენ დიდ სახელმწიფოებმა რუსეთის ასეთს რიხიანს განცხადებას ბანი მისცეს და იგი განცხადება საუკეთესო ღონისძიებად ალიარეს.

მაგრამ, როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ საშუალების შემო[illegible] შესაძლებელი ყოფილა. [illegible] არის, რომ როგორ[illegible] ქელი საბერძნეთი [illegible] ოფიციალ (მოწერილი ამბები)

**დ. ხაშური.** სრული ოთხი თვე იქნება, რაც ხაშურში წარმოება დაიწყო „მხმარებელთა საზოგადოების მაღაზიამ“. ეს მაღაზია დააარსა აქაურმა რკინის გზის მოხელეთაგან შემდგარმა საზოგადოებამ, რომელთა შორის მომეტებული ქართველობაა. საზოგადოებას აზრად აქვს მაღაზიის საშუალებით მიაწოდოს მყიდველთ კარგის ღირსების საჭმელი, რამდენადაც მოსახერხებელია, იაფად. ეჭვი არ არის, რომ ასეთი დაწესებულება ფრიად სასარგებლოა რკინის გზის მოსამსახურეებისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხსენებული მაღაზია დიდ სარგებლობასა და შეღავათს აძლევს გარეშე ხალხსაც. ყველას, ვინც უნდა იყოს იგი, შეუძლიან ივაჭროს მაღაზიაში ბევრად იაფად, ვიდრე სხვაგან; ამასთან ერთად არავის მედუქნური ჩინჩი და ვაჭრობა არ დასჭირდება, ყველა დარწმუნებულია, რომ არ მოატყუებენ. რკინის გზის მაღაზიაში დაარსებისთანავე ვაჭრობა მეტად გაძლიერდა. მუშტარი იმდენი დადის, რომ მაღაზია ვერც-კი ასდის. დღეში ოციდგან ოცდა-ათ თუმნამდის სხვა-და-სხვანაირი სანოვაგე და წვრილმანი საქონელი იყიდება. სამაგიეროდ, სხვა აქაურმა მოვაჭრეებმა ბაზარი დაჰკარგეს. მომეტებულმა მათგანმა ვერა გაასწორა და ფასი დაუკლო ყველა საქონელს, რამდენადაც-კი შესაძლო იყო. რკინის გზის მაღაზიის გამგეთ ამორჩეულია ორი მხნე და დაჩვიანებული მემამულე: ი. ფანცულაია და გოხი. ესენი გონივრულად განაგებენ მაღაზიის საქმეს. რკინის გზის მაღაზიამ ამ ცოტა ხნის არსებობითაც დაანახვა ყველას, რა შეუძლიან საერთო ძალას და ამ ძალის კეთილად მოქმედებას. ოთხის თვის განმავლობაში მაღაზია ორჯელ გასინჯეს და აღრიცხეს. აღმოჩნდა, რომ მაღაზიის ერთი ორად იაფად უწოდებიათ [illegible] საზოგადოებისათვის საქონელი, ვიდრე სხვაგან; ამასთან ერთად გარდა იმ პროცენტებისა, რომელიც საზოგადოებას სახეში ჰქონდა, (მანეთზედ 12 კ.) მაღაზიას წვრილ-წვრილად დარჩენია ორმოც თუმნამდის სხვა მოგება. საქმის ასე წარმოება იმედს იძლევა, რომ მაღაზიას მალე ფული შეუგროვდება და ამ ფულს რამდენი კეთილი და სასარგებლო საქმე შეუძლიან, ვინ მოსთვლის.

ვ. ე.

## „წერა-კითხვის“ საზოგადოების საყურადღებოდ.

ამ ორის წლის წინად ტფილისის გუბერნიის სამოსწავლო მთავრობამ საყურადღებო ცვლილება მოახდინა მოწაფეთათვის სასწავლო ნივთების უსასყიდლოდ დარიგების შესახებ. აი საქმე რაშია: სოფლის საზოგადოება ხდილობს ყოველ წლივ სკოლის შესანახად იმდენ ფულს, რამდენიც ნაკისრი აქვს სოფლის ყრილობის დადგენილებისამებრ. მთავრობა-კი ამ ხარჯით უძლვება სკოლის ყოველ საჭიროებას და აქამდის უსასყიდლოდ ჰგზავნიდა სასწავლო ნივთებს ბავშვებისათვის დასარიგებლად. მაგრამ ამ ბოლოს დროს მთავრობამ დაავალა მასწავლებლებს ახმარონ სასწავლო ნივთები მარტოკა სწავლის დროს და სახლში სახმარებლად-კი ნუ გაატანთო. ასეთი განკარგულება დაასაბუთა იმ მოსაზრებით, რომ ჯერ ერთი ასეთი წესი მარტო ტფილისის გუბერნიაში არის მიღებული და სხვაგან-კი არსადაო. მეორეც ესა, რომ სასწავლო ნივთების ბავშვებისათვის უსასყიდლოდ დარიგებით მთავრობას კარგა ბლომად ხარჯი მოსდის და რჩება დაუკმაყოფილებელი სკოლის სხვა არსებითნი საჭიროებანი, როგორც, მაგალითებრ, კლასების მოწყობა-გაუმჯობესება, მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის წიგნთ-საცავის დაარსებაა და სხვანი.

ვინ არ იცის, რომ წიგნს ფასი დაედება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოება სავსებით შეიგნებს იმისს მნიშვნელობას კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებაში. ჩვენს გლეხ-კაცსკი ეს ჯერ არა აქვს შეგნებული და აქ საჭიროა ხალხის ფეხის წინ წასადგმელად კერძო მოთავეობა, განსაკუთრებულ დაწესებულებათა დახმარება. ათავებს თუ არა ბავშვი ანბანის სწავლას, გულის ფანცქალით ელის იმ სასიხარულო წუთს, როდესაც თავისუფლად შეუდგება წიგნის კითხვას, მაგრამ სიხარულს ფრთები ეკვეცება, რადგან სკოლის გარეთ წიგნს, ბევრიც რო უნდოდეს, ვერ-იშოვის. მშობლებიც არა ჰფიქრობენ წიგნის ყიდვას, იმიტომ ვიხდით სკოლის ფულს, რომ ანბანიც უნდა გვისწავლონ და წიგნიც მისცენ ჩვენ შვილსაო, ამით საქმე ძალიან ბრკოლდება, ფერხდება, გლეხიც გულს იცრუებს, რადგან ერთხელაც ვერა ჰხედავს თავისს შვილს წიგნით ხელში და სკოლის საქმე წინ წასვლის მაგიერ უკან-უკან მიდის.

ამას გარდა, ყველას მოგეხსენებათ, რომ უმეტესობა გლეხ-კაცობისა მართლა დიდს სიღარიბეშია ჩავარდნილი და სად გაუძლვეს სკოლის ხარჯს ცალკე და სასწავლო ნივთების შეძენას ცალკე. ამიტომ საჭიროა „წერა-კითხვის“ საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას სკოლებისას და როგორმე შეავსოს ეს ნაკლი. ეს ხომ პირველი მოვალეობაა ზემოხსენებულ საზოგადოებისა და, იმედია, ხელს გაუწვდის სკოლებს და შეძლებისამებრ მიაწოდებს პირველ სახელმძღვანელო წიგნს მაინც.

არა ერთხელ წამიკითხავს ჟურნალ-გაზეთებში, რომ გამომცემლებმა და ავტორებმა ამა თუ იმ სამკითხველოს, ან წიგნთ-საცავს შესწირეს თავიანთი გამოცემაო, მაგრამ ვინ ისარგებლებს ამ სამკითხველო-წიგნთსაცავით, თუ-კი სკოლა წერა-კითხვის მცოდნე ბავშვებს არ აღზრდის.

სოფლის ერთი მასწავლებელთაგანი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინდელს გაზ. „კავკას“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ბ. ნ. გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილისა. აი რასა სწერს იგი:

„დღეს წავიკითხე თქვენს გაზეთში შენიშვნა იმის შესახებ, რომ ამ წელიწად ნახევრის წინად მე გამაშავებენწეს. უნდა გამოვტყდე, მე კარგად მესმოდა, საიდგანაცა „ჰქროდა ქარი“ და უარსაც ვამბობდი, ნუ მიყრით კენჭსა მეთქი, მაგრამ ქალაქის მოურავად ნამყოფმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკმა ოფიციალური წერილით ქალაქის გამგეობის სახელით მთხოვა საარჩევანო ყუთი დამედგა. ერთის მხრივ ნდობამ ამ პატივცემულ მოღვაწისამ და გამგეობის ავტორიტეტისამ და, მეორეს მხრივ, რა-კი არ მინდოდა ჩემთვის, რომელიც იმდენად გაუფრთხილებელი ვიყავ, რომ ქართველი დავიბადე, ის ბრალი დაედოთ, რომ საზოგადო მოღვაწეობას თავიდგან ირიდებსო, იძულებულ მყვეს დავთანხმებულიყავ და კენჭის საყრელად ყუთი დამედგა. თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის წასვლა ჩემთვის საუკეთესო დამაკმაყოფილებელია ამ არა სასიამოვნო საქმეში და ამასთან იმისი დამამტკიცებელიც, რომ მე მართალი ვიყავი მაშინ, რადგან ჩემი თავი ქალაქის საქმეთა ქხლანდელ გამგე-მმართველების დასის „შესაფერად“ არ მიმაჩნდაო.“

* * *

27 მარტის „Новое Время“-ში კორესპონდენციაა დაბეჭდილი ტფილისიდგან, რომელშიაც ნათლად არის მოთხრობილი მიდგომითა და მიკერძებით მოქმედება ჩვენის ქალაქის ჭირისუფლებისა და ქალაქის საქმეების უვარგისად მართვა-გამგეობის მაგალითებია ჩამოთვლილი. თვით გაზეთი „Нов. Время“ თავისის მხრივ შენიშვნას უძღვნის ამ კორესპონდენციას, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

ის, რასაკვირველია, ტყუილია, რომ ვითომ ტფილისი ოდესმე სომხების ქალაქი ყოფილიყოს, ხოლო ის-კი, რომ ეხლა ქ. ტფილისი სომხების ხელშია ჩავარდნილი, სამწუხაროდ და ამ ქალაქის მეურნეობის საუბედუროდ და ასაწყენ-დასაწყენად, სრული და უტყუარი ჭეშმარიტებააო.

## სასამართლოს მატიანე

ივანე აბულაძის საქმე.

31 მარტს ოლქის სასამართლომ აბულაძის საქმე გაარჩია, რომელსაც კაცის მოკვლა, ჰბრალდებოდა. აი საქმე როგორ ყოფილა: 1896 წ. 15 მკათათვეს, ღამით, ვერაზედ, ნაზარბეგოვის ბაღში, უქეიფნია ერთს „კამპანიას“ ქალებით. ამის დროს სოფიო გურიენოვს მოსვლია ლაპარაკი ვიღაც რუდნიკთან, აუღია ქალს სტოლიდგან ცალიერი ბოთლი და უსროლია რუდნიკისათვის, რომელსაც თავი დაბლა დაუღია, ბოთლი ასცდენია და იქვე მახლობლად მდგომ მოსამსახურეს ვიქტორ ტუხანოვს მოხვედრია. მოსამსახურეს დაუკივლია და ყვირილზედ მოვარდნილა მეარღნე ივანე აბულაძე, აუღია სტოლიდგან ცალიერი ბოთლი და ერთერთ მჯდომარე ზურაბოვისათვის ისე ღონივრად დაუკრავს შუბლში, რომ საწყალი რამდენისამე დღის შემდეგ გადაცვლილა.

აბულაძემ თავისს თავი დამნაშავედ არ იცნო და თავს იმითი იმართლებდა, რომ, როდესაც მივედი თავ-გატეხილ და უგრძნობლად დაცემულ ტუხანოვთან საშველად, იმ დროს ვიღაც მოქეიფეთაგანმა ორი ცალიერი ბოთლი მესროლა ზურგში, მეც გავბრაზდი, დავავლე ერთ ნასროლ ბოთლს ხელი და უკანვე ვესროლე, არავისთვის-კი არ დამიმიზნებია.

სასამართლომ ივანე აბულაძე დამნაშავედ იცნო, რომ სიანჩხლის დროს განზრახ დაუკრია ზურაბოვი, რასაც სიკვდილი მოჰყვაო, და გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და წლი-ნახევრით ზნე-ხასიათის გა-

---

მცა კარში გასასვლელად.

ქრისტეშობის ყინვა საგრძნობლად უჭერდა, ჩრდილოეთის მწვავი ქარი ზუზუნებდა, მოკრიალებულ ცაზედ გაბრწყინვალებული, ბადრი მთვარე ამაყად დასრიალებდა. ქალაქი დიდ ფაცა-ფუცში იყო და ძლივს გავატანეთ აუარებელ მოძრავ ხალხში ბულვარებზედ. ჩემი კავალერი გიჟივით მიიწევდა წინ და თან მთლად თრთოდა. მისი აღელვება მეც გადამედო, შიშისაგან ხმას ვერ ვიღებდი და უსიტყვოდ მივყვებოდი. რამდენისამე წამის შემდეგ შევედით ალექსანდრეს ბაღში და მხოლოდ იქ გავბედე მისი შეყენება.

— გიორგი, რა გემართება, რას სჩადი? აქ რა გვინდა ამ სიცივეში, ხომ ჰხედავ, ადამიანის ჭაჭანება არსად არს, საშიშია, სხვა რომ არა იყოს-რა.

— მართალი ხარ, მართალი, მაგრამ უნდა ცოტა მოითმინო, მაქვს სათქმელი რამე... აქ საშინლად აღელვდა და აკანკალდა. კბილები უწაკწაკებდა, მუხლები ეკეცებოდა, სიტყვების მაგივრად, რაღაც უაზრო ტუჩების ცმაცუნი-ღა გაჰქონდა.

— გიორგი, ძვირფასო ძმაო, რა იყო, რა დაგემართა? დამშვიდდი... მეშინიან... თუ ავად იყავ, აქ რად წამომიყვანე... და ტირილი დავიწყე.

— ნუ სტირი... ნუ გეშინიან... მე მხოლოდ ორი სიტყვა უნდა გკითხო... კარგად მოიფიქრე პასუხი, ამ პასუხზედ არის დამოკიდებული ჩემი სიცოცხლე... ამ სიტყვებს საშინელის სიძნელით ამბობდა, ხანგამოშვებით. ბოლოს ძალა მიხდილის ჩურჩულით წარმოსთქვა:

— შენ სხვა გიყვარს?

— დიახ, მე დღეს უნდა მეთქვა შენთვის ჩემი გულის პასუხი, მხოლოდ შენ დამასწარ და მეც საკვლავიოდ გადავდე. რად მომატყუე, სად არის შენი საცოლე?

ჩემი საცოლე? ჩემი საცოლეც შენა ხარ და შენს გარეშე ჩემთვის სხვა ქალი არა არსებულა, განა არ იცი?!..

ღმერთო, ღმერთო! როგორ წარმოსთქვა ეს სიტყვები. რამდენი კვნესა, ვარამი, რამდენი ტკივილი იყო იმის ხმაში, მწუხარებით დაღმეჭილს სახეში! მთლად გავშრი, მხოლოდ საშინელმა სიბრალულმა მომიცვა და გული გამიგმირა. დიდ ხანს ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ ჩუმად. ან რაღა უნდა გვეთქვა ერთმანეთისათვის. არის იმისთანა მწუხარება, როდესაც ნუგეშის ცემა უადგილოა და შეურაცხებად მიიღების.

— წავიდეთ, აქ ცივა და შენ-კი კბილი გტკივა, დიდის მზრუნველობით მითხრა ბოლოს გიორგიმ, მერე თვალებზედ ხელი გადაისვა და დარბაისლად, თითქო აქ არა მომხდარარაო, მეგობრულად ხელი მომცა და შინისკენ გავეშურეთ.

ნეტა როგორ არს? რას ფიქრობს ჩემს შესახებ? აი იმისი წერილიც! ხელები მიკანკალებს ღმერთო, ნეტა რასა მწერს?!.

187... 1 იანვარი.

საყვარელო დაო ეფრო!

დილა ადრიან ვგზავნი კაცს შენთან, მინდა ყველას დავასწრო და პირველმა მოგილოცო ახალი წელი.

ღმერთმა გაცოცხლოს, გაგაბედნიეროს და თავისს დღეში არ გაგრძნობინოს ის მწველი ცეცხლი, ის მიწასთან გამანადგურებელი იმედის გაცრუება, რომელიც „მე წუხელის მაგრძნობინე. ვიცი, რომ ღლიურსა სწერ, შეგიძლიან იქ აღნიშნო და მრავალი ხაზი გაუსვა ამ სიტყვებს: „წუხელის სიცოცხლე მოვუსპე, გული გავუპე და შიგ საუკუნო სიბნელე ჩავუყენე იმას, ვინც სამის წლის განმავლობაში ჰნუგეშობდა მხოლოდ ჩემით, ჰსუნთქავდა ჩემთვის, მზეს შეჰყურებდა მხოლოდ ჩემთვის“.

დიახ, ჩემო ეფრო, მთელი სამი წელიწადი დაუყოვნებლივ ვშრომობდი, დღესა და ღამეს ვასწორებდი, რომ სულითა და ხორცით ავმაღლებულიყავ, სწავლა და განვითარება შემეძინა, რომ ყველა ეს შენთვის მეძღვნა, შენში გადმომენერგა, რომ ამითი შენი ბუნებრივი ნიჭი სავსებით გადმეფურჩქნა, შენი ზნეობრივი ვინაობა იდიალურ სისპეტაკით შემემოსნა! რად ჩადიოდი ამას, რად მივდიოდი წინ და რად მიგიყოლიებდი შენც თანა? რად ვეწაფებოდი მეცნიერებასა მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემის ცოდნით შენი სწავლის წყურვილი მომეკლა? რად მინდოდა ვყოფილიყავ მაღალი და შენც ამემაღლებინე? რად შევიერთე ჩემი ვინაობა ასე განუყრელად შენს არსებასთან, რად გადვიქმენ შენთან ერთსულ და ერთ-ხორცად? ამათ შესახებ ვერ მიპასუხებ, იმიტომ-რომ გუშინდელმა შენმა საქციელმა ნათლად დამანახვა, რომ ჩემი მსხვერპლი შენგნით ისე მიგიღია, როგორც ძღვენი მარტოდენ მეგობრისა, ძმისა, როგორც სურვილი რიგიანის კაცისა, რომ ყოველი მას გარეშე რიგიანივე იყოს. „განა არ ჰგრძნობდი ყოველ ჩემს ნაბიჯში ჸსაზღვრო გრძნობას შენდამი-მეთქი?“ შეგეკითხე წუხელის და შენ-კი გულუბრყვილოდ მიპასუხე: „მე შენი და ვარ, ნათესავი და შენს გულმოდგინე სამსახურს მხოლოდ ნათესაურ თანაგრძნობითვე ვგულისვხმობდიო“. რა ნაირადა გგავს ეს სადა სიტყვები შენ, ჩემო სადავ და მასთან ფრიად რთულო არსებავ! განა არ ვიცი რომ შენ ნამდვილი მორწმუნე ხარ; განა არ ვიცი, რომ შენ ნათესაობა ხელშეუხებელ წმიდანად მიგაჩნია, მაგრამ მე მეგონა, რომ ის, რაც მე შეგასწავლე, რაც მეცნიერთა გამამკვლეველთა თვალით დაგანახვე, უფრო ძლიერ იმოქმედებდა შენზედ, უფრო ფართო მხედველობას მისცემდა შენის გონების თვალს, შენს ზნეობას უფრო განიერს, უფრო მაღალს საფრენს სივრცეს შესძენდა, ვიდრე სარწმუნოებრივი დოგმატიკა, მხოლოდ შთაგონებით დანერგილი შენს არსებაში... მაგრამ ჩემი გონება

მასწორებელ პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა.

## რუსეთი

განზრახვა აქვთ, რომ ვალში აწერილ და სხვა ნივთების საჯაროდ გასყიდვის დროს აღუკრძალონ მონაწილეობის მიღება ჩარჩებს.

— დადგენილია, რომ 1) ამიერიდგან უწ. სინოდის დაარსებულ სასწავლებელთა საბჭო აღარ მიიღებს სავალდებულო განსახილველად ავტორებისა, გამომცემლებისა და წიგნის გამყიდველების მიერ წარდგენილ სწავლის სახელმძღვანელოებსა დ წიგნებს საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებლებისათვის; 2) ვისაც ჰსურს გაასცნოს უწმიდესს სინოდთან დაარსებულ სასწავლებელთა საბჭოს თავისნი გამოცემანი, შეუძლიან გამოჰგზავნოს იგი სასწავლებელთა საბჭოს წიგნთ-საცავში უარზოდ და უგერბის მარკებოდ, და 3) ცნობა ყოველ წიგნის შესახებ, რომელსაც ამოირჩევს სასწავლებელთა საბჭო ვითარცა სასარგებლოსა და საჭიროს საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებისათვის, თავისს დროზედ დაბეჭდილი იქნება „საეკკლესიო უწყებანსა“ და ჟურნალს „საერო განათლება“-ში.

— დიდი ხანია ჟურნალ-გაზეთობაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ისინი, რომელნიც შეცდომით იქმნენ სამართალში მიცემულნი, უდანაშაულოდ, დაჯილდოებულ იქმნენ სახელმწიფოს მხრიდგანო. ამას წინად ამის შესახებვე მოხსენება წაუკითხავს პეტერბურგის იურიდიულს საზოგადოებაში ნ. ნ. რაზინს. ბ-ნს რაზინს უთქვამს: 1) ის აზრი, რომ სახელმწიფოს მხრივ დაჯილდოებულ იქმნენ უდანაშაულოდ სამართალში მიცემულნი, მე-XVII საუკუნის დამლევიდგან განვითარდა და ისტორია ამა აზრისა ამტკიცებს იმისს ცხოველ-მყოფელობას: 2) თეორიულად, სახელმწიფოა იურიდიული ვალდებული დააჯილდოოს უდანაშაულოდ დაზარალებული სისხლის სამართალში მიცემისა გამო; 3) ეს მოვალეობა ერთ გვარად არსებობს თუნდა უდანაშაულოდ სამართალში მიცემული გამართლებულ იქნება, თუ ბრალეულად ცნობილი და დასჯილი; 4) ჯილდოს მიღების უფლება მხოლოდ იმათა აქვთ, რომელთა უბრალოება და უდანაშაულოება სავსებით არის დამტკიცებული, და 5) რუსეთში სრულიად მომზადებულია ნიადაგი იმად, რომ შემოღებულ იქმნას წესი უდანაშაულოდ სამართალში მიცემულთა დაჯილდოებისა სახელმწიფოს მხრივო.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ბ — სკუზესს ლონდონის გაზეთ „Observer“-ს კორესპოდენტისათვის შემდეგი უთქვამს:

ჩვენ გვეუბნებიან, რომ თუ კრიტი საბერძნეთს შეუერთდა, სერბიაცა და ბოლგარიაც თავისის საზღვრების გაფართოებას მოიწადინებენ და მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ სისხლის ღვრა ასტყდებაო. მაგრამ სოფიიდგან ჩვენ დანამდვილებით გვარწმუნებენ, რომ საბერძნეთის სამეფოსთან კრიტის შეერთების წინაამდეგი იქ არავინ არის, და თუ ეს მოხდა, ე. ი. კრიტი საბერძნეთს შეუერთდა, ბოლგარია ამის წინაამდეგ ხმასაც არ ამოიღებსო. ბოლგარია მხოლოდ მაშინ ამხედრდება და სხვებივით ისიც იქით-აქეთ ხელების ფათურს დაიწყებს, თუ მაკედონიის განაწილებაზედ მიდგა საქმეო. თვალ-ნათლადა სჩანს, რომ დიდნი სახელმწიფონი თავისსავე სურვილს ეწინააღმდეგებიანო; იმათი სურვილი, როგორც თვითონვე ამბობენ, ის არის, რომ მშვიდობიანობა არ დაარღვიონ, მაგრამ თვისის მოქმედებით მშვიდობიანობის დარღვევას თვითონვე ხელს უწყობენო. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ვიდრე კრიტელების სურვილს არ დააკმაყოფილებენ, იმ დრომდე იქ მყუდროება არ დამყარდება, მაგრამ დიდ სახელმწიფოთ ეს არ უნდათ შეიგნონ და კრიტის დამშვიდების საქმეს თითონვე ხელს უშლიანო. ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ, ევროპის მყუდროებას დიდნი სახელმწიფონი უთხრიან ძირს, და არა საბერძნეთიო. თუ საბერძნეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა, ცხადია, მაკედონიისა და ეპირის განაწილების საქმე პირველს ადგილს დაიჭერს, რასაც დიდნი სახელმწიფონი, იმათისავე სიტყვით, უფრთხიან, მაგრამ ეს საბერძნეთის ბრალი ხომ არ იქნება, არამედ დიდ სახელმწიფოებისა, რომელნიც საბერძნეთს იძულებულ ჰყოფენ მშვიდობიანად არ მორჩესო. ამისათვის, დიდ სახელმწიფოთ რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ, რომ ბოლგარია ოსმალეთს მხარს უჭერს და კრიტის საბერძნეთთან შეერთების წინააღმდეგია; ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ კრიტის შესახებ ბოლგარია ჩვენი თანახმაა, და მისი პოლიტიკა მხოლოდ მაშინ შეიცვლება, როცა ლაპარაკი მაკედონიის შესახებ ასტყდებაო.

— საყურადღებოა გლადსტონის აზრიც კრიტის შესახებ: მე იმედი მაქვსო, უთქვამს დიდებულ მოხუცს, რომ პარლამენტის თითოეული წევრი, ლიბერალი იქნება იგი, თუ ანტი-ლიბერალი, დიდის თავგამოდებით წინააღმდეგობას გაუწევს ექვს დიდ სახელმწიფოთა სურვილს, რომ კრიტელებს თითონ თავიანთი ამორჩეული (დიდ სახელმწიფოების მიერ) მმართველი დაუნიშნონო. დიდ სახელმწიფოთ მხოლოდ იმისი უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ კრიტის მთავრად ისეთი კაცი დაინიშნოს, რომელიც ხონთქრის უზენაესს მფარველობას დაჰმორჩილდებაო; სხვა დანარჩენი დიდ სახელმწიფოების საქმე არ არის, არამედ თვითვე კრიტელებისაო. თუ საქმის ასე დამთავრების წინააღმდეგი იქნება ვინმე, კრიტელებს შეუძლიან თავიანთი არ დაიშალონ, და მე მრწამს, თუ ისინი ყოჩაღად იქნებიან, თავისას გაიტანენო.

## ნაკვესი

ერთს სასტუმროში შეკრებილი იყო ქართველი ყმაწვილ-კაცობა და სადილობდნენ. სხვათა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ მიმინო მწყერს როგორ იჭერს და რას აჭმევენ.

— მწყერი ავრინდება თუ არაო, დაიწყო ერთმა ყმაწვილმა კაცმა, გ—მ, მაშინვე მიმინოს გაუფრენენ. როცა დაიჭერს და პატრონს მოჰგვრის, პატრონიც თავის ქაღალს გაუხსნის სოლომე და ტვინს მიმინოს შეაჭმევსო.

— ნეტავი ვიცოდეო, ჩამოართვა სიტყვა იქვე მეორე სტოლთან მჯდომმა ასიკო ცაგარელმა: შენ რომ გამოგიყენოთ მიმინო და დაგიჭიროს, რა უნდა გაჭამოთო?..

* * *

ცალ-თვალა კაცი შეეკამათა ორ-თვალიანს, შენ ჩემზედ ნაკლებსა ჰხედავო.

— როგორაო? ჰკითხა მან.

— როგორ და ისე, რომ თქვენ ჩემსას მარტო ერთს თვალსა ჰხედავთ და მე-კი ორს თვალსა ვხედავ თქვენსასაო.

* * *

ორი ჯარის-კაცი იდგნენ საღამოზედ დარაჯად. ერთს მიემინა მოქანცულობისა გამო, ამ დროს უცბად ყუმბარამ გადაუარა და თავი მოსწყვიტა.

— ოჰო, სთქვა პირველმა: როგორ გაუკვირდება, როდესაც გამოიღვიძებს და ჰნახავს, რომ თავი აღარა აქვსო!

### ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

საფრანგეთის მეცნიერს დიუსოს გამოუგონია ახალი მანქანა და სახელად მიკროფონოგრაფი დაურქმევია. ეს მანქანა სწორედ რომ ღვთის წყალობაა ყრუ და მუნჯ ადამიანისთვის. მიკროფონოგრაფი ისეა მოწყობილი, რომ სულ მცირე ხმაურობა აღინიშნება, ისეთი ხმაურობაც-კი, რომელსაც ადამიანის ყური ვერ გაიგონებს, მერე ამ მცირე ხმაურობას ისე გაადიდხმაურებს და გააძლიერებს, რომ სულ ყრუ კაციც-კი ადვილად გაიგონებს.

ამ მანქანის გაკეთების დროს დიუსოს საგნადა ჰქონია დაეხმაროს ყრუ და მუნჯს ადამიანს. ყველამ კარგად იცის, რომ მუნჯს ლაპარაკი იმიტომ არ შეუძლიან, რომ ყრუ არის, არაფერი ესმის და იმის გამოთქმა, რაც კაცს თავის დღეში არ გაუგონია, ხომ შეუძლებელია. მაგრამ, რაც უნდა ყრუ იყოს კაცი, ცოტაოდენი სმენა მაინც ექნება. ეს აშკარად დამტკიცდა დიუსოს მანქანის მეოხებით. პარიჟის სამკურნალო აკადემიაში მოიყვანეს ერთი ყრუ და მუნჯი კაცი. მოიტანეს დიუსოს მიერ გამოგონილი მიკროფონოგრაფი, და ამ მანქანის მილი მიადეს ყრუ კაცის ყურს. მანქანა ამ დროს გაძლიერებულის ხმით უკრავდა ფრანგების საერო სიმღერას და მარსელიეზას. ყრუ კაცს იმ წამსვე სახეზედ სიამოვნება გამოეხატა და ტუჩებზედ ღიმილმა გაურბინა. მანქანის მილი რომ მოაშორეს ყრუს, ეწყინა და დაღონდა. სჩანს ყრუს კარგად ესმოდა მიკროფონოგრაფის ხმა და ძლიერ უკვირდა და ესიამოვნებოდა ამ სასიამოვნო და ჯერ გამოუცდელ ხმების გაგონება.

მეცნიერებმა ერთხმად აღიარეს, რომ დიუსოს მანქანით ადვილად შეიძლება მუნჯსა და ყრუს ლაპარაკი ვასწავლოთო. არც საკვირველია ესა. რადგანაც მუნჯი მანქანის შემწეობით გაიგონებს ადამიანის ლაპარაკს, დაისწავლის სიტყვებს, სიტყვის მარცვალს, ასოს და მერე თითონ მოახერხებს გაგონილის გამოთქმას და ამ გვარად ლაპარაკს ისწავლის. ეს კიდევ რა! დიუსო ამტკიცებს, რომ მიკროფონოგრაფის შემწეობით შესაძლებელია ყრუ კაცი მოვარჩინოთ ამ სენისაგანაც. როგორც ზევითა ვსთქვით, ყრუ კაცი სრულიად არ არის სმენას მოკლებული. მიკროფონოგრაფის შემწეობით ყრუს ჯერ გაძლიერებულ ხმას გააგონებენ, მერე ამ ხმას თან-და-თან მოუკლებენ, ყრუ თან-და-თან შეეჩვევა ხმის გაგონებას და ბოლოს ადვილად გაიგონებს ადამიანის ლაპარაკსაც. დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ, რომ დიუსო ისეთს მიკროფონოგრაფს აკეთებს 1900 წლის გამოფენისათვის, რომლის ხმას ადვილად გაიგონებს ერთად მოყრილი 10,000 კაცი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი

**რომი.** პალატა განაგრძობს კამათობას კრიტის შესახებ. რუდინიმ

შესცდა ჩვეულებრივ...

წუხელის მთელი ღამე გავათენე. ჩემის პატარა ოთახის იატაკი ჩემს ცოფიანსავით მარბენალ ნაბიჯს ქვეშ მთლად ზანზარებდა, ჩემს სხეულს რაღაც აღგზნებული ცეცხლი სწვავდა, ჩემს ფიქრს, დიდი ხნით მიჩვეულს იმ აზრს, რომ შენ ჩემი ხარ, რომ მე და შენ ერთნი ვართ, განუყრელნი და ორნი ერთად ქცეულნი, — სამუდამო შერყევა უქადდა. ჩემის ყელიდგან ხშირად რაღაც უაზრო, პირუტყვისებური ხრიალი ამოდიოდა და იმ ხრიალში თითქო შენ გწყევლიდი, თითქო შენა გგმობდი ჩემის განადგურებისათვის.

განთიადთან ერთად ჩემი ძალ-ღონე მიმისუსტდა, ჩემმა უწინდებურმა ავადმყოფობამ იჩინა თავი, ყელიდგან სისხლი წამსქდა და ამ დაძაბუნებამ, ამ საშინელმა სენმა გამახსენა, რომ ამ სამის წლის წინად სასომიხდილი, ქანც მიწყვეტილი, ბნელ, ვიწრო ოთახში უპატრონოდ სიკვდილს ვებრძოდი; უცებ შენ შემოხვედი და თან შემოიტანე სინათლე, სითბო, იმედი და სიცოცხლე. დღესაც ყურს მიდგას ის გულიდგან ამონადენი შენი სიტყვები: „გიორგი, გიორგი რა დაგმართნია? მარტო რადა ხარ, რატო არ მომიხმე, რომ თავს შემოგვლებოდიო“, და ამ სიტყვებთან შენი წრფელი მოხვევა და მდუღარე ცრემლები.

ოხ, ის ცრემლები, ცრემლები! რად იყვნენ ისე წრფელნი, ისე პირდაპირ გულიდგან გადმონადენნი, ისე ლმობიერებით სავსენი! რადა ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ ჩემი განუკურნელი სენი განკურნეს და მომცეს ძალა ხელახლად ფეხზედ დავმდგარიყავ, რად მომცეს სამის წლით შვება, თუკი სნეულებას გამიორკეცებდნენ და სხეულის ტკივილს სულიერ სასოწარკვეთილებასაც დაჰმატებდნენ?!

რა იყო მაშინდელი ფიზიკური ტანჯვა დღევანდელ ტანჯვასთან შედარებით! სული მიძრწის, სინანული მარჩობს, იქნება ამ სამის წლის განმავლობაში, დღე და ღამ, ყოველ წამს, ყოველ ჩემის გულის ჩქეფაში ნადუღი რომ შენთვის გამეზიარებინა, შენც შეგესმინა, შენი გული მომბალიყო, პასუხი გაეცა ჩემის გულის ამონაკვნესისათვის! რად ვმალავდი, რად უფრთხილდებოდი უკვდავების ცეცხლივით იმ გრძნობას, რომელიც განუზიარებლად თვით სიკვდილზედ უარესია. რატო არ ვიცოდი, რომ ქალის გულს დაუშრომელი ალერსი, თაყვანის-ცემა, მუდარება ასაზრდოებს! მაგრამ მე შენ სხვა ქალებს არ გადარებდი. მე შენ გულთა-მხილავი მეგონე; ასე მეგონა, რომ ჩემი დაუძინებელი ზრუნვა შენდა სულიერ აღსაზრდელად საუკეთესო საბუთი იქნებოდა ჩემის თაყვანის ცემისა, და ის-კი არა თუ... ოჰ, ნეტა შემეძლოს რომ ეს იარად ქცეული გული ამოვიგლიჯო, მისი გაუყუჩებელი ღრღნა შევაჩერო! ეფრო, ეფრო! რომ იცოდე, რა რიგად დამკალ... რა მიყავი...

გათენდა, მზემ ამოაშუქა და თავისის ცხოველის შუქით ჩემს დაუძლურებულს თვალებს ფარდები უნებლიედ დააშვებინა. დღის შუქზედ, თვალებ დახუჭულმა, ძალ-ღონე მიხდილმა, ყოველივე კარგად მოვიფიქრე, ყოველს საგანს თავისი მნიშვნელობა მივეცი, ჩემის ოცნების ფრთები მაგრა შევკარ უიმედობით და ეხლა თითქმის დამშვიდებული ვარ, მარტო გული-ღა მღრღნის, მაგრამ ისე, ოდნავ...

ეხლა ჩემთვის ყოველივე ნათელია და თუ აქამომდე არა ვხედავდი, ეს მხოლოდ ჩემის სიბეცის, ჩემის არდანახვის სურვილს ამტკიცებს. რა შემიძლიან გისაყვედურო? რას დამპირდი და რა არ მომეცი? პირ-იქით, შენგნით მივიღე სავსებით ის, რაც-კი მხოლოდ დედა-კაცს შეუძლიან დავრდომილს ადამიანს მიანიჭოს — მეგობრული ხელი და წრფელი გული, კაცთ-მოყვარეობით სავსე. შენ აღმადგინე მკვდრეთით, ძალა მომეცი სულიერ და ხორციელ სიცოცხლისათვის (და მასთან სრულის სიცოცხლისათვის) და თუ მე მეტი მოვინდომე, შენ აქ რა შუაში ხარ! ძალ-მომრეობა ყველგან და ყველაფერში შეიძლება, მხოლოდ გრძნობის საზღვარი ხელ-შეუხებელია, თავისუფალი და თავისებური.

მხოლოდ ამას ვსწუხვარ, რომ სისუსტემ დამძლია და ჩემი აღსარება გითხარ, წამით მაინც შევარყიე შენი ბედნიერება, შენი ბრწყინვალე მომავალი. გუშინ შენი ძმა შემხვდა და მხიარულად შემომძახა: „გიორგი, იცი, რომ ეფროს ვათხოვებთ“-ო.

ამ სიტყვებმა თავსზარი დამცა, გიჟივით მოვირბინე შენთან, რაღაც სულელური ისტორია მოვიგონე ცოლის შერთვისა. მე, უბედურს, იმედი მქონდა, რომ როგორც მე შენი გათხოვება, ისე შენ ჩემის ცოლის შერთვა გულის ნადებს გამოგათქმევინებდა. ოჰ, რომ შემეძლოს გაგიზიარო იმ ტანჯვის სიდიადე, რომელიც იმ ორს წუთში გამოვიარე, ვიდრე შენს წყნარს, შეურყეველს პირისახეზედ ჩემის სიკვდილის წინასწარმეტყველებას ამოვიკითხავდი! მაგრამ კმარა...

გიგზავნი სამს წიგნს: „პროგრესს“ აბუსის, „თვით-მოქმედებას“ სმაილსისას და „მაღაროსნი“ ტუსისას. მე ეგენი წინად მქონდა ნაყიდი საახალწლო საჩუქრად შენთვის, მხოლოდ ზედ წარწერა ამოვგლიჯე. მიუმატე ეგენიც იმ პატარა წიგნთ-საცავს, რომელიც ისე გულ-დასმით, ისე გულ-მხურვალებით აგირჩიე. გქონდეს ჩემ სახსოვრად და როდესაც გადაიკითხო ხოლმე შენს მეგობართან (ოჰ, ოჰ, გულო გაყუჩდი!) ერთად, შენი ძმა, დიახ, ძმა, ერთგული ძმაც მოიგონე.

გიორგი“

ეკ. გაბაშვილისა

(დასასრული იქნება)

სთქვა: „მთავრობის საქციელის მოწონებით იმას-კი არ დავამტკიცებთ, რომ საბერძნეთის განკიცხვა გვინდოდეს, არამედ იმას, რომ მომხრენი ვართ თავისუფლებისა, სამართლიანობისა, უფლებათა თანასწორობისა ხმელთა-შუა ზღვაზედ და მთელის ქვეყნის მშვიდობიანობისა“. რუდინი თხოულობს, სრული ნდობა გამოვუცხადოთ მთავრობასაო. პალატამ, 278 ხმით წინააღმდეგ 132-სა, რუდინის მიერ მოწონებული წინადადება შეიწყნარა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კერზონმა განაცხადა: „ინგლისის ვიცე-კონსული ბოლმანი იუწყება, რომ ტოკატში მოკლულ იქმნა 89 კაცი, დაჭრილი 36, აკლებულია 250 სახლი; მახლობელ ოთხ სოფელში აკლებულია 24 სახლი, მოკლულია 35 კაცი“. შემდეგ კერზონმა სთქვა, მთავრობას არაფერი გაუგია იმის შესახებ, ვითომ იტალიის მინისტრებს განზრახვა ჰქონდეთ კასსალუ ეგვიპტეს დაუბრუნონ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონმა განაცხადა, სრულებით უსაფუძვლოა ის ეჭვი, ვითომ ზოგიერთნი დიდნი სახელმწიფონი არ ეთანხმებოდნენ ინგლისს კრიტის თვით-მმართველობის შესახებ. ის ხმებიც არაფრით მართლდება, ვითომ დიდმა სახელმწიფოებმა ხელი შეუშალეს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის პირდაპირ მოლაპარაკებას. დიდნი სახელმწიფონი ეხლაც განაგრძობენ მოლაპარაკებას გუბერნატორისა, კრიტის მილიციისა და თვით-მმართველობის შესახებ. კერზონმავე განაცხადა შემდეგ: ბერძნები ოსმალეთს დაეცნენ, საბერძნეთის მთავრობამ მოიწონა ესა, ხოლო ოსმალეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს თავსდასხმა ომის გამოცხადებად არ მიგვაჩნიაო.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს: მართალი არ არის ის ხმები, ვითომ საბერძნეთის ჯარი ერია იმ აჯანყებულთა შორის, რომელნიც ორს ადგილას გადავიდნენ ოსმალეთის საზღვარს, გაანადგურეს ვალონოს სიმაგრე და მაკედონიასა და ეპირის შუა საზღვარზედ მაღლობი ადგილი დაიჭირეს. სამხედრო მინისტრმა გადასწყვიტა, ბრძანება მიეცა ედხემ-ფაშასათვის, საზღვარს გადადიო, მაგრამ გერმანიის ელჩმა დაუშალა. სულთანმა სასტიკად უბრძანა მთავარ-სარდალს, იმ ადგილებიდგან არ დასძრას ჯარი, რომელზედაც ეხლა უყენია.

2 აპრილი.

**მოსკოვი.** ქალაქის მოურავის კანდიდატად არჩეულ იქმნა თავადი ვ. მ. გოლიცინი.

**ლონდონი.** კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან: „მინისტრთა საბჭოს კრებამ მთელ ღამეს გასტანა; ბჭობა იმაზედ ჰქონდათ, კეთილ-გონიერი საქციელი იქმნება თუ არა, საბერძნეთს რომომი გამოვუცხადოთო.“

გაზეთს „Times“-ს სწერს კორესპონდენტი: დელიანისმა მითხრა, რომ საბერძნეთს, ფულის ნაკლებობისა გამო, დიდ ხანს არ შეუძლიან საომარ ფეხზედ დაყენებულ 80,000 ჯარის კაცის შენახვა. თუ ომი საჭირო არის, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთო.

**კონსტანტინეპოლი.** პარასკევსა და შაბათს ოსმალეთის მხრივ მოკლულ იქმნა 210 კაცი. ოსმალები ბერძნებს დაედევნენ და რამდენსამე ადგილს საზღვარს გადავიდნენ, მაგრამ იმ წამსვე დაბრუნდნენ ედხემ-ფაშის ბრძანებით.

**კონსტანტინეპოლი.** რადგანაც ათინის გაზეთში ამბობენ, რომ საზღვარზედ ოსმალეთს მუდმივი ჯარიკი რა, თავისუფლად ჯარში გასულნი დაეცნენო, ამიტომ ედჰემ-ფაშას ებრძანა ამ საქმის გამო მოხსენება გამოჰგზავნეო.

**კონსტანტინოპოლი.** ოსმალეთის გაზეთში დაბეჭდილია მრავალი საქებო დეპეშა გამარჯვების შესახებ დისკატოსთან, სადაც 5000 ბერძენი იყო ბრძოლაში; ბერძნების მხრივ მოკლულ იქმნა 2,000 კაცი; ოსმალებმა მოკლულთა დასაფლავების ნება მისცეს. სპილას ახლო ბერძნების მხრივ ვითომ 1000 კაცია მოკლული. შაბათს ღამე ბერძნები მეორე ადგილს დაეცნენ, მაგრამ ოსმალებმა უკუ-აქციეს და მრავალი ტყვე წამოიყვანეს. ედჰემ-ფაშამ ბრძანა, ტყვეებს კარგად მოექეცითო.

**კონტანტინეპოლი.** საბერძნეთის საზღვარზედ მშვიდობიანობაა. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ თავის ნებით ჯარში გასულ 2000 ბერძენსა და ჩუპრიანის იტალიელთა ლეგიონის გარდა, ოსმალეთის საზღვარზედ ბრძოლის დროს მონაწილეობას იღებდნენ 8 და 9 ევზონები და ქვეითა ჯარის მეშვიდე რაზმის ბათალიონი. ბერძნების მხრივ ზარილი დიდია.

**სოფია.** აქ დღესასწაულობენ სერბია ბოლგარიის სავაჭრო ხელშეკრულობას. საგანგებო მატარებელი ცარიბროდში მოვა; აქვე მოვა სერბიის მატარებელი: პარაკლისის შემდეგ მატარებლები წავლენ პიროტში, სადაც სერბელიები მეჯლისს გამართავენ.

**ცეტინიე.** ბერანეს ოლქის მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის უწესოება მოხდა. ქრისტიანებმა ბერანეს ალყა შემოარტყეს. ალბანიელები ჩქარობენ ალყა შემორტყმულთა მიშველებას. ოსმალეთის მთავრობის მოხელეებმა ციხეში მოიყარეს თავი.

პეტერბურგის ბირჟა, 1 აპრილი

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გარიგებული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . | —,, | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 211½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101½ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅝ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅝ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | 98¾ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 275 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 244½ |

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული ხელის-მოწერა ერთი აზნაურის ქვრივის და მის ობლების სასარგებლოდ. ამ ქვრივის სასარგებლოდ შემოვიდა თქვენს რედაქციაში შვიდი თუმანი შვიდი მანეთი და სამი აბაზი, რომელიც უკვე მიღებული მაქვს. ნება მიბოძეთ თქვენისავე გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადო იმათ, რომელთაც შეიბრალეს ჩემი ქვრივ-ობრობა, სნეული ჯანი და ობლები.

მარიამ ლომიძისა


# განცხადებანი

მაღაზია
**ლუკა ზ. კუტივაძისი**
(„სასახლის ქუჩაზედ სათავად აზნაურო მამულში“) მივიღე ბლომად ბანკებში გაკეთებული ატამი და შერამი, რომელიც დაკლებულ ფასად გაიყიდება მხოლოდ 12 აპრილამდის, შემდეგ-კი ვაჭრობა მოისპობა.

(1—92—1)

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად „საზოგადოების“ წესდების მე-12 § ის, კვირას, 27 აპრილს დილის 12 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა.
(5—უ—2)

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი
**ქ. ფ. გლავაჩეკის**
(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.
**თესლეულობის მაღაზიაში,**
გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და საბოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—6)

ახლად გამოვიდა და ისყიდება
**ფაბიოლა**
ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბურ წმ. წმიდის ძმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.
წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.
ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

**პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო **კარგად ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**
ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**



**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—11)

**Открыта подписка на новую большую ежедневную въ С.-Петербургѣ газету**

# „МІРОВЫЕ ОТГОЛОСКИ“

**1897 года,**

газету политическую, литературную, научную, общественную, финансовую и экономическую, **безъ предварительной цензуры**. Всѣхъ нумеровъ выйдетъ 360 въ годъ.

**Программа:** 1. Руководящія статьи по разнымъ вопросамъ. 2. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ въ Россіи и за-границей, равно отъ разныхъ телеграфныхъ агентствъ. 3. Статьи и извѣстія по вопросамъ врутренней и международной политики, а также статьи научнаго и практическаго содержанія по разнымъ отраслямъ. 4. Обозрѣніе движенія русскаго и иностраннаго законодательства и государственнаго управленія. 5. Церковный отдѣлъ—духовная литература. 6. Историческіе, бытовые и этнографическіе очерки. Жизнеописанія замѣчательныхъ дѣятелей. 7. Статьи и извѣстія по разнымъ отраслямъ финансовой и экономической дѣятельности въ Россіи и за-границей. 8. Обозрѣніе событій государственной и общественной жизни. Хроника и разныя извѣстія. Некрологи. 9. Областныя обозрѣнія и корреспонденціи изъ Россіи и другихъ государствъ. Отчеты о засѣданіяхъ различныхъ обществъ русскихъ и иностранныхъ. 10. Обзоръ текушей журналистики и замечательныхъ явленій литературы русской и иностранной. Критическія статьи о вновь появляющихся въ Россіи и за-границей книгахъ и сочиненіяхъ. 11. Статьи и извѣстія по вопросамъ искуства; новости театра, музыки, ремеслъ и проч. 12. Изящная словесность—повѣсти, романы, разсказы, сцены, стихотворенія, мемуары и путешествія. 13. Судебная хроника—русская и иностранная; судебныя рѣшенія и ихъ обсужденіе. 14. Статьи и извѣстія о движеніи повсемѣстно въ Россіи и за-границей промышленности, сельскаго хозяйства, торговли, горнаго дѣла и торговаго мореходства. 15. Статьи и извѣстія о дѣйствіяхъ русскихъ и иностранныхъ акціонерныхъ комиссій и разныхъ видовъ товариществъ. 16. Биржевыя извѣстія внутраннія и заграничныя. Ярмарки. Урожаи. 17. Рисунки историческіе и бытовые, соотвѣтствующіе содержанію статей. Портреты замѣчательныхъ дѣятелей. 18. Справочный отдѣлъ. 19 Казенныя и частныя объявленія.

**„Міровые Отголоски“** будутъ выходить въ объемѣ отъ однаго до двухъ листовъ формата бывшей газеты „Голосъ“ и будутъ печататься подобнымъ же крупнымъ и четкимъ шрифтомъ.

Всякаго рода рисунки и портреты будутъ печататься какъ въ текстѣ газеты, такъ и на особомъ полулистѣ, выходящемъ еженедѣльно по воскресеньямъ.

**Подписная цѣна въ Россіи:** безъ доставки на годъ—14 р., 6 м.—8 р., 3 м.—4., 1 м.—1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ на годъ—16 р., 6 м.—9 р., 3 м.—4 р. 50 к., 1 м.—1 р. 80 к Съ пересылкою иногороднымъ на годъ—17 р., 6 м.—10 р., 3 м.—5 р. 50 к., 1 м.—1 р. За-границею: на годъ—26 р., 6 м.—14 р., 3 м.—8 р., 1 м.—3 р.

**Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ:** для служащихъ—по соглашенію съ конторою чрезъ ихъ казначеевъ, для неслужащихъ—на слѣдующихъ условіяхъ: 6 р. при подпискѣ, 6 р. въ концѣ марта и 4 р. въ концѣ августа для городскихъ, 7 р. при подпискѣ, 7 р. въ концѣ марта и 3 р. въ концѣ августа для иногородныхъ подписчиковъ.

**Подписка принимается:** въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ редакціи „Міровыхъ Отголосковъ“, Фонтанка (уголъ Лештукова переулка), домъ № 80, а также въ книжныхъ магазинахъ: Фену и К°. Невскій пр. 40, М. М. Ледерле, Невскій пр., 42 и Н. П. Карбасникова, Литейная ул., 46; въ Москвѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Моховая, домъ Коха, и въ Варшавѣ—въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Новый Свѣтъ, 69.

Редакторъ-издатель *К. В. Трубниковъ*.

(6—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.